პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

შაბათი
24 თებერვალი
1940 წ.
№ 45 (5746)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლის მუშაობა (მე-1 გვ.)

მუშურ - გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა (1-ლი გვ.)

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება (1-ლი გვ.)

ვ. სალაძე — ახალი თბილისი (მე-2 გვ.)

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (მე-2 გვ.)

რით მიიღის ოკრდენოსანი საქართველო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე (მე-2 გვ.)

პრესის მიმოხილვის მაგიერ (მე-3 გვ.)

ა. მელაძე — ბოლშევიკურად ვუზრუნველყოთ ვუხელმძღვანელოთ ცირკულოსტანთა და ჩაის სამუშაოებს (მე-3 გვ.)

თეთრფინელებთან ბრძოლის გმირები. კაპიტანი კუშნირი (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ანატოლიის სააგენტოს ცნობა (მე-4 გვ.)

ბულგარეთის გაზეთი საბჭოთა ჯარების წარმატებათა შესახებ ფინეთში (მე-4 გვ.)

ნორვეგიელი ჟურნალისტი ჩრდილოეთ ფინეთში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების შესახებ (მე-4 გვ.).

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლის მუშაობა

საბჭოთა სკოლა, პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით გარეშემოსილი, სწრაფად იზრდება და ვითარდება. სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ბრწყინვალე გამარჯვებებს, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის აყვავებასა და მშრომელთა კეთილდღეობის უმაგალითო ამაღლებას მოჰყვა კულტურული რევოლუცია, რომელიც მკაფიოდ დაახასიათა ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობაზე ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა.**

სახალხო განათლების გაფურჩქნა-აყვავებისათვის მხოლოდ ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყანაშია შექმნილი ყოველგვარი პირობები. ორდენოსან საქართველოს სახალხო განათლების დარგშიც ერთერთი მოწინავე ადგილი უჭირავს.

ჩვენი სკოლები პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებით სისტემატურად აუმჯობესებენ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას, განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლება, წარმატებით ხორციელდება სავალდებულო საშუალო განათლება ქალაქად და საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიანი განათლება სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში.

მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ჩვენს სკოლებს მრავალი არასებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგებმა ნათელჰყვეს, რომ მოწაფეთა წარმატებულობა ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. მაგალითად, ქ. თბილისის სკოლების 74.143 მოსწავლიდან სასწავლო წლის პირველ ნახევარში 73.051 მოსწავლის ცოდნა იქნა შემოწმებული; ამათგან ცუდი წარმატებულობა გვიჩვენა 17.418-მა, 3.396 მეორეწლიანი მოსწავლიდან კვლავ ცუდი წარმატებულობა გამოამჟღავნა ათასამდე მოსწავლემ.

თბილისის ზოგიერთმა სკოლამ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენების შედეგად სრულებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მოგვცა. მაგალითად, მე-104 სკოლის (დირექტორი— ამხ. ჩხენკელი) 515 მოსწავლიდან ცუდად სწავლობს 130 (36 პროც.). ამათ რიცხვში 107 მოწაფეს ცუდი ნიშნები აქვს სამ და მეტს საგანში, კომკავშირელ მოსწავლეთა წარმატებულობა მხოლოდ 39 პროცენტს უდრის; ცუდად დაყენებული მუშაობის დამახასიათებელი ისიც არის, რომ ამ სკოლას არა ჰყავდა არცერთი ფრიადოსანი კომკავშირელი. მოიკოჭლებდა დისციპლინა, მოსწავლეები თვითნებურად სტოვებდნენ გაკვეთილებს. მე-45 სკოლაში (დირექტორი—ამხ. ჯორბენაძე) 903 მოსწავლიდან ცუდი ნიშნები მიიღო 309 კაცმა, ამათ შორის ნახევარზე მეტი ჩამორჩებოდა სამ და მეტს საგანში. ამ სკოლის 48 კომკავშირელი მოსწავლიდან 22 ცუდად სწავლობს.

გასული სასწავლო წლის პირველი ნახევარი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს აგრეთვე თბილისის მე-9, მე-36, მე-97, მე-102, მე-40 და სხვა სკოლებმა.

სკოლის მუშაობის ნაკლოვანებათა შორის საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შიშველი პროცენტებისადმი გამოდევნებას, მოწაფეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებას. თბილისის მე-24, მე-36, მე-28 და სხვა სკოლებმა პირველ ნახევარში გვიჩვენეს მოწაფეთა წარმატებულობის მაღალი მაჩვენებლები, მაგრამ გამოირკვა, რომ აქ საქმე გვაქვს მოწაფეთა ცოდნის ლიბერალურ შეფასებასთან, ე. წ. პროცენტომანიასთან, რომელიც სასტიკად დაჰგმო საბჭოთა მასწავლებლობამ. მაგალითად, მე-24 სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა გიორგობიანმა და მე-28 სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ლომთათიძემ თითქოს ასპროცენტიანი წარმატებულობა მოგვცეს. ეს მაშინ, როცა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ხსენებული სკოლის მრავალ მოსწავლეს არა აქვს სათანადო მომზადება და ამგვარად მდგომარეობა აშკარად შელამაზებულია.

მოწაფეთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მასწავლებელთა არასაკმაო მომზადებასთან ერთად ისიც არის, რომ სკოლის დირექტორები და მასწავლებლები სათანადო დახმარებას არ უწევენ ჩამორჩენილ მოსწავლეებს, სისტემატურად არ ზრუნავენ მათზე, საფუძვლიანად არ სწავლობენ მოსწავლეთა სამინაო საყოფაცხოვრებო პირობებს, სკოლის კოლექტივი სუსტად არის დაკავშირებული მოსწავლეთა მშობლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სუსტად არის დაყენებული პედაგოგიური პროპაგანდა, კლასის ხელმძღვანელები არ ეწევიან კულტურულ-მასობრივ მუშაობას, ცუდად ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოთხოვნილებებს, სკოლებში სუსტად არის დანერგილი თვითეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, სათანადო დონეზე არ არის დაყენებული სკოლის გარეშე მუშაობა და სხვ.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში კვლავ ადგილი ჰქონდა სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვას. არასრული ცნობებით მარტო თბილისის სკოლებიდან 297 ბავშვი გავიდა. მე-71, მე-88, მე-86 და სხვა სკოლებში ცუდად არის დაყენებული მოსწავლეთა მიღება-გასვლის აღრიცხვა. ამიტომ შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენი მოსწავლე მიიღო სკოლამ, რამდენი გავიდა სკოლიდან, რა იყო გასვლის მიზეზი ან სად წავიდა სკოლიდან გასული მოსწავლე, რა ბედი ეწია მას.

ეს და სხვა მსგავსი ფაქტები იმის მოწმობენ, რომ ჩვენი სკოლების მუშაკები ჯერ კიდევ ცუდად იბრძვიან საყოველთაო - სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის.

საბჭოთა სკოლას უდიდესი ამოცანა დაეკისრა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ. ეს არის ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდა, განმტკიცება მასში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობისა, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობისა.

ამ პასუხსაგები ამოცანის განხორციელებას ჩვენი სკოლა შესძლებს, თუ ის ხელიხელ ჩაკიდებული ამუშავებს კომკავშირთან, ოჯახთან და მოწინავე საბჭოთა საზოგადოებრიობასთან ერთად.

სკოლის ნაკლოვანებათა აღმოფხვრასა და საბჭოთა სკოლის შემდგომ აღმავლობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს, ლენინ-სტალინის პარტიის აქტიურ თანაშემწეს, ლენინურ-სტალინურ კომკავშირს. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-10 პლენუმმა განიხილა საკითხი სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ, დაჰგმო სკოლაში მუშაობის შეუფასებლობა, დასახა კონკრეტული დონისძიებანი ამ მხრივ და გარკვევით აღნიშნა, რომ სკოლა წარმოადგენს კომკავშირის მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანს. მარტო თბილისის სკოლებში ექვსიათასზე მეტი კომკავშირელი მეცადინეობს. კომკავშირელ ფრიადოსანთა რაოდენობა კი მხოლოდ 663-ს უდრის. თბილისის სკოლებში მოსწავლე 45.474 პიონერიდან. ფრიადოსანია 3.500.

მართალია, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-10 პლენუმის შემდეგ საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს სკოლაში მუშაობა, მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენმა სკოლამ და მასწავლებელმა უნდა იგრძნონ კომკავშირის მტკიცე ხელი, მისი დახმარება.

სასწავლო წლის მეორე ნახევარი ჩვენმა სკოლებმა უფრო მომზადებულად დაიწყეს. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა, განათლების განყოფილებებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, გააუმჯობესონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, აღმოფხვრან მოსწავლეთა განთესვა, ფართოდ ჩააბან სკოლის მუშაობაში მშობელთა აქტივი, მოწინავე საბჭოთა საზოგადოებრიობა.

სასწავლო წლის მეორე ნახევარში აღმოვფხვრათ პირველ ნახევარში შემჩნეული ნაკლოვანებანი, გადაჭრით გავაუმჯობესოთ სწავლების ხარისხი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გადავაქციოთ ჩვენი სკოლა სტალინური ეპოქის ღირსეული ადამიანების სამჭედლოდ—ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

საკლესი უარჰყოფს

1. რეიტერის სააგენტო ავრცელებს თავისი სტოკჰოლმელი კორესპონდენტის ცნობას, ვითომც „საბჭოთა კავშირის შვიდ თვითმფრინავს 10 ფუგასური და დიდძალი ცეცხლმჩენი ყუმბარა ჩამოეყაროს შვეციის სოფელ პაიალაში, რომელიც ფინეთის საზღვრისპირა გზატკეცილიდან ხუთ მილზე მდებარეობს".

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ სოფელ პაიალაზე და საერთოდ შვეციის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის არცერთ თვითმფრინავს არ უფრენია, ხოლო რეიტერის სააგენტოს ცნობა საბჭოთა თვითმფრინავების შესახებ ღვარძლიან ჭორს წარმოადგენს.

2. საფრანგეთის სააგენტო ჰავასი, ინგლისისა და საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთი, აგრეთვე გერმანიის ცალკეული გაზეთები ხმებს ავრცელებენ, ვითომც საბჭოთა კავშირს ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვისათვის მოეთხოვოს ახალი საზღვაო ბაზების გადმოცემა „სამხედრო ბაზების" რაოდენობის გადიდება და სხვ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და მთლიანად მოჟორილი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, 23 თებერვალს, საღამოს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომაზე თავი მოიყარეს პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, წითელარმიელებმა, მეთაურებმა, სტახანოველმა მუშებმა, მწერლებმა, ხელოვნების ოსტატებმა, მხატვრებმა, მეცნიერმა მუშაკებმა.

დარბაზი აივსო ხალხით. ახადეს ფარდა და გამოჩნდა შესანიშნავად მორთული სცენა: სცენის სიღრმეში ჰანგს კავკასიონის ქედის პანორამა, წინ ინდუსტრიული კერებია, სახერხნო მილებიდან ბოლი ამოდის, კიდევ აქეთ საკოლმეურნეო მინდვრებზე ტრაქტორები სჩანან. ზღვაცა და ციტრუსოვანთა პლანტაციებიც. წინ კი საქართველოს ღერბია უხვი საკოლმეურნეო ღვლათის სიმბოლიური მზატვრული სურათის ფონზე. სცენის ერთ მხარეს დიდი **ლენინი** ჯავშნოსანზე, ხოლო მეორე მხარეს აღმართულია ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** დიდი სურათი. იქვეა ქართველი ხალხის საამაყო შვილის, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ბერიას** პორტრეტი. მის პირდაპირ სცენას ამშვენებს დიდი საბჭოთა ქვეყნის პირველი მარშალის ამხანაგ **ვოროშილოვის** პორტრეტი.

სცენაზე, საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე, ა. თოფურიძე, ს. იშხანოვი, ა. რაფავა, ი. კოპლამაზაშვილი, ტიულენევი, თ. ტოლბუხინი, ი. დორონინი, თ. დუბოვსკოი, ს. ხოშტარია, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, ა. მირცხულავა, კ. ბარიგიანი, გრ. კიკნაძე, თ. ბირკაძე, დ. ჭიჭინაძე, ა. წიკლაური, მ. ჩუბინიძე, გ. გოჩაშვილი, ნ. გალუსტოვი, ვ. ვარსეევანიძე, ვ. სიხარულიძე, პ. მჭედლიძე, აკ. ვასაძე, ა. ხორავა, ირ. აბაშიძე, პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. კ. ზავრიევი, ნ. გელაძე, ა. ჯორბენაძე, ვ. ვაცეკი, თ. როსტომაშვილი** და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. კოპლამაზაშვილმა.

წინადადებისათვის სიტყვა აიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. გარსევანიძემ.

— წინადადება შემომაქვს, — სთქვა მან, — ავირჩიოთ ჩვენი საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმში წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ

ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

ბელადის სახელის ხსენებისას დარბაზში იგრიალა ტაშმა. ფეხზე ამდგარი ხალხი მიესალმებოდა ამხანაგ სტალინს და ცხმოდა შეძახილები დარბაზის ყოველი კუთხიდან:

— გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ **სტალინს!**

— გაუმარჯოს ჟუკოვის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების სულისჩამდგმელს ამხანაგ **სტალინს!**

ორკესტრი უკრავდა ინტერნაციონალს. ორატორი განაგრძობდა საპატიო პრეზიდიუმში დიდი ბელადის თანამებრძოლთა დასახელებას.

— **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი.**

თვითეული მათგანის დასახელებისას ახალახალი სიძლიერით გაისმოდა ტაში და შეძახილები დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პატივისაცემად. ბოლოს მინელდა ოვაციის ხმაური და თავმჯდომარემ სიტყვა მოხსენებათა სთვის მისცა ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, მეორე რანგის სარდალს ამხ. ტიულენევს.

მან თავისი მოხსენება მიუძღვნა წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავს. საინტერესო მოხსენებას ხშირად ტაშითა და მოწონების შეძახილებით აწყვეტინებდნენ მომხსენებელს დარბაზში მყოფნი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა გმირობასა და საქართველოს ხალხის დარაზმულობაზე ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის ირგვლივ.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშებით მიმართა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს,** საბჭოთა მთავრობის მეთაურს და დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **მოლოტოვს,** დიადი საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მეთაურს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ **ვოროშილოვს,** სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ მეთაურს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს—ამხანაგ **ბერიას** და ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს.

აუწერელი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით მოიწონა საზეიმო სხდომამ მისასალმებელ დეპეშათა ტექსტი.

საზეიმო სხდომა დასრულდა მრავალფეროვანი კონცერტით.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

22 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ, ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" გადაეცა ლეიტენანტს ამხ. ნ. ვ. გრინჩოვს და უფროს ლეიტენანტს ამხ. ი. ს. მიასნიკოვს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან მთავრობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის. დაჯილდოებულთა შორის არიან: მე-2 რანგის სამხედრო ექიმი ამხ. დ. ი. დროზდოვი, ლეიტენანტი ამხ. პ. პ. ბოჟკოვი, უმცროსი მეთაური ამხ. ს. ნ. ბელოხვოსტოვი, წითელარმიელი ამხ. ი. ვ. ვესელოვი, პოლიტბეჭი ამხ. მ. ი. ბუდკოვი, ლეიტენანტი ამხ. ს. ი. გუკალო და სხვები.

ამის შემდეგ ჯილდოები გადაეცა უფროს ლეიტენანტს ამხ. ი. მ. ნაზარეტსკის და ამხ. ა. ფ. პოლიაკოვს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ფინეთის თეთრგვარდიელებასთან ბრძოლის ფრონტზე და ამ დავალების შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გულადობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნ. ვ. გრინჩოვმა და მ. ი. გუდკოვმა.

ორდენები და მედლები გადაეცათ აგრეთვე სამხედრო და სამეურნეო მუშაკების სხვა დაჯილდოებულ ჯგუფებსაც.

დაჯილდოებულთათვის ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა გულთბილად მიულოცა ყველა ამხანაგს ჯილდოების მიღება და ახალი წარმატებანი უსურვა შემდგომ მუშაობაში. (საკდესი).

○

ლენინგრადი, 22 თებერვალი (საკდესი). გუშინ, 21 თებერვალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. პ. ს. პოპკოვმა, ლენინგრადის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილის, ბრიგადის კომისრის ამხ. ი. ხ. აბრამოვისა და პოლიტსამმართველოს სხვა მუშაკების თანდასწრებით ორდენები და მედლები გადასცა წითელი არმიის დაჯილდოებულ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფს. ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთანავე მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ, ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი მიიღეს: წითელარმიელმა ი. მ. სოლომონიკოვმა, უმცროსმა მეთაურმა ვ. პ. ბახვალოვმა, პოლკოვნიკმა ვ. ნ. კოშუბამ, უმცროსმა მეთაურმა მ. ა. ლარჩენკომ.

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლებში გამოჩენილ მამაცობისა და გულადობისათვის „წითელი დროშის" ორდენი მიიღეს: წითელარმიელმა ე. პ. შეეცმა, უფროსმა ლეიტენანტმა გ. გ. მირონშენკოვმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ნ. ი. სტარჩენკომ, უმცროსმა მეთაურმა პ. ი. გლუშკოვმა, ლეიტენანტმა ე. ვ. ზდესენკომ, პოლიტბელმა ს. ი. ივანოვმა, ლეიტენანტმა ი. ე. კუბატკომ, უფროსმა ლეიტენანტმა დ. ი. მილეხინმა, უფროსმა ლეიტენანტმა ი. ს. მილტომ, უმცროსმა პოლიტბელმა ს. ი. ნიკიფოროვმა, უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ა. სტაროდუბცევმა, ლეიტენანტმა ს. ფ. ჩმუტოვმა, ამხ. ვ. ვ. იაკიმოვმა.

მედალი „მამაცობისათვის" გადაეცა უმცროს ლეიტენანტს ამხ. ნ. მ. ზიმინს და კაპტან რ. ვ. კრიაჟევს, მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის" — წითელარმიელ ი. კ. შუმანოვს.

დაჯილდოებულთა სახელით პარტიის, მთავრობისა და ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე მადლობითა და ერთგულებით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვეს: საბჭოთა კავშირის გმირმა, პოლკოვნიკმა ვ. ნ. კოშუბამ, საბჭოთა კავშირის გმირმა უმცროსმა მეთაურმა მ. ა. ლარჩენკომ, „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულმა უმცროსმა პოლიტბელმძღვანელმა ს. ი. ნიკიფოროვმა და სხვებმა. მათ პირობა დასდეს, რომ მომავალშიც თავდადებით შეასრულებენ სარდლობის ყოველ დავალებას და ულმობელად გაანადგურებენ სოციალისტური სამშობლოს მტრებს.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

მუშათა მასობრივი გამომგზავნობის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შესახებ

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა მარიუპოლის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა „აზოვსტალის" სტახანოველ გამომგზავნებელთა და რაციონალიზატორთა შეკრების ინიციატივა — მოეწყოს საწარმოებში მუშათა მასობრივი გამომგზავნებლობის საზოგადოებრივი დათვალიერება, რაც უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვების გამოვლინებასა და სოციალისტური მრეწველობის შემდგომ აღმავლობას.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ავალებს პროფკავშირთა ყველა საბჭოებრიკო-საქარხნო კომიტეტს, საოლქო და ცენტრალურ კომიტეტს ყოველგვარად დაუჭირონ მხარი მარიუპოლის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა „აზოვსტალის" გამომგზავნებელთა და რაციონალიზატორთა ინიციატივას და სათავეში ჩაუდგნენ საწარმოებში მუშათა მასობრივი გამომგზავნებლობის საზოგადოებრივ დათვალიერებას. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ წინათ შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია და მიაღწიონ ყველა იმ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მუშათა მასობრივი გამომგზავნებლობის საზოგადოებრივი დათვალიერების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს გამომგზავნებლობითი აზრის შემდგომი განვითარების, რაციონალიზატორულ წინადადებათა ზრდისა და წარმოებაში მუშების გამოგონებათა და წინადადებათა სწრაფი დანერგვის უზრუნველყოფა.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უნდა ეცადონ, რათა გამომგზავნებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი აზრი მიმართულ იქნას იმისაკენ, რომ გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უკეთესად გამოვიყენოთ მოწყობილობა, დანგები და მანქანები, მაქსიმალურად დავზოგოთ ელექტროენერგია, სათბობი, ლითონი, საპოხი მასალა და ნედლეული, რაციონალურად გამოვიყენოთ ნარჩენები, აღმოვფხვრათ წუნი, ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი და შევამციროთ თვითღირებულება.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ყველა გამომგზავნებელს, რაციონალიზატორებს, სტახანოველებს, დამკვრელებს, საბჭოთა კავშირის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშათა მასობრივი გამომგზავნებლობის საზოგადოებრივი შემოწმების ჩატარებაში და ეცადონ, რომ ეს შემოწმება მძლავრ საშუალებად გადაიქცეს სამუშაოთა დიადი გეგმის—მესამე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

უმაღლეს ჯილდოს ბოლშევიკური საქმით ვუპასუხებთ

ჭოგულეთი, 23 თებერვალი (**ტელეგრაფით სპეც. კორ.**). ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამ ერთი თვის წინათაც დიდი ზეიმი იყო, როცა მოვიდა ცნობა, რომ ეს საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სახელს ატარებს, მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა. დღეს, როდესაც საბჭოთა მეურნეობის ყოლექტივი გირლანდებით ამკობს ყველა ნაგებობას, რომ საზეიმოდ მოკაზმული შეხვდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 19 წლისთავს, ახალი განუზომელი სიხარული მოაქვს ტელეგრაფს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

მეურნეობის კლუბის შენობა ხალხს ველარ იტევს. 750 კაცი სულგანაბული უსმენს მეურნეობის დირექტორის ამხ. ვ. ვეკუას მგზნებარე სიტყვას. გაისმა სცენასთან ჩამწკრივებული პიონერების შეძახილი — გაუმარჯოს დიდ **სტალინს.** დარბაზს ტაშის ქუხილმა გადაუარა. სტახანოველი მკრეფავი ნასტია კოვალიოვა მოუწოდებს ახალი რეკორდებით უპასუხონ მაღალ ჯილდოს, კისრულობს სეზონში 6500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფას. მას ეხმაურებიან სტახანოველები მარია სოიაკინა, ბროჟენკო, ლომოვა, ბობოშკო, ვალიაევა, აგრონომები გრძელიძე, ოქროპირიძე, საყვარელიძე, კაპანაძე, ვიტენკო, განყოფილების უფროსი ახალაძე კისრულობენ შარშანდელთან შედარებით წელს თვალსაჩინოდ გაადიდონ ჩაის მოსავლიანობა. კონკრეტული ვალდებულება იკისრა აგრეთვე მეურნეობის მთავარმა ექიმმა ლორიამ.

შინაარსიანი სიტყვით გამოდის სქ. კ. პ. (ბ) ჭობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ალ. მელაძე. იგი მოუწოდებს სტახანოველთა რიგების გამრავლებისაკენ, ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ.

მთავარი აგრონომი ივანე ფუტურიძე დამსწრეებს აცნობს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მიმართვას ყველა საბჭოთა მეურნეობისადმი 1940 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სოცშეჯიბრების გაწლის შესახებ და მოუწოდებს გამოეხმაურონ მიმართვას.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იღებს ვალდებულებას 1940 წელს გეგმით გათვალისწინებული 1.833.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბაროს 1.900.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან 70 პროცენტი პირველი ხარისხისა.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

○

ზუგდიდი, 23 თებერვალი (ტელეფონით სპეც. კორ.). ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გაზეთებმა უსაზღვროდ სასიხარულო ცნობა მოუტანეს. მინდვრად მუშაობის დროს კოლმეურნეებმა გაიგეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საპატიო ნიშნის" ორდენით მათი კოლმეურნეობის დაჯილდოების შესახებ.

საღამოს 5 საათზე კოლმეურნეობის კლუბი ხალხით გაიჭედა. სახელდახელო მიტინგზე კოლმეურნეები მოვიდნენ მინდვრებიდან და აღფრთოვანებულნი ულოცავდნენ ერთმანეთს უმაღლეს ჯილდოს.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით შემდგარი საზეიმო მიტინგი გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჯ. ერანგიამ. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. გ. საჯაიამ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჯილდოების შესახებ და მოუწოდა კოლმეურნეებს ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

საზეიმო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ბრიგადირი პ. საჯაია, რომელმაც აიღო ვალდებულება 1940 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 22 ცენტნერი სიმინდი, 12 ცენტნერი თამბაქო, 13 ცენტნერი არახისი.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. შ. ქვარცხავამ, საკოლმეურნეო სკოლის მასწავლებელმა ამხ. თ. ქურუამ.

მიტინ

პარტიული ცხოვრება

ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

20 თებერვალს ჩატარდა რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. პარტკომის მდივანმა ამხ. სარქისოვმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ კვანძის პარტიულმა ორგანიზაციამ გაატარა მუშაობა, გაძლიერდა პარტიული კონტროლი წარმოებაზე, რის შედეგადაც აღმოიფხვრა ავარიები და წარმატებით სრულდება საწარმოო გეგმები. მაგალითად, სადგურ ნავთლუღს (სადგურის უფროსი — ამხ. კ. მიკოპულოვი) თებერვლის პირველ დეკადაში დღიური ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ვაგონები აქვს დატვირთული. მომხსენებელი აგრეთვე შეეხო პარტიული ორგანიზაციის ზრდის, პარტიული პროპაგანდის დაყენების, დისციპლინის საკითხებს. ამას გარდა აღნიშნა ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ ყიდევ აქვს კვანძის პარტიულ ორგანიზაციას.

კვანძის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სასხდომო ფაციფუცს, მას არ ახასიათებდა კონკრეტულ-ოპერატიულობა. პარტკომის სხდომებზე ზოგჯერ იხილავდენ 13-17 საკითხს (მაგ., ოქმი № 47). სხდომები ხშირად 10 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. კვანძის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პარტიაში მისაღები ამხანაგების წინასწარ შემოწმებას. მაგ. პარტიის რიგებში მიღებულ იქნა ვ. რუსიაშვილი, რომელიც ყოფა-ცხოვრებაში გახრწნილი აღმოჩნდა. კვანძის პარტკომის ყოფილი მდივანი მატინიანი ახშობდა თვითკრიტიკას; სისტემატურად ლოთობდა. რის გამო პარტიული მუშაობისათვის ვერ იცლიდა.

საანგარიშო მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიმართა, რომელშიც 9 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

პარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ი. ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა დადგენილებების შესრულების შემოწმებას, რის შესახებაც პარტკომი არ იღებდა გადამწყვეტ ზომებს. აგრეთვე ჯეროვანი დახმარება არ ეწეოდა იმ კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

მოკამათე ამხ. წ. მღებრიშვილმა აღნიშნა აგიტკოლექტივის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ივი აგრეთვე შეეხო კვანძის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ძირეულ პრესაზე და კონკრეტული მაგალითებით ცხადჰყო, რომ ამ მხრივ არც თუ სანაქებოდ იყო საქმე. კედლის გაზეთები ხშირად არ გამოდიოდა, მაგრამ რომლებიც გამოუშვეს, იქაც არ შეელანძღებოდა ის ნაკლოვანებები, რაც რკინიგზის კვანძის მუშაობას დღესაც ახასიათებს.

სტახანოველებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და დახმარების შესახებ ილაპარაკა ორდენოსანმა რკინიგზელმა ამხ. დ. ირემაშვილმა.

საქმიანად გააკრიტიკა კვანძის პარტკომის მუშაობა სადგურ ნავთლუღის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ხ. ონანაშვილმა. მან აღნიშნა, რომ პარტკომი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის. სუსტი იყო ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, მაგრამ მათ ამოქმედებაზე არავინ ფიქრობდა; მივიწყებული იყო პარტიაში ქალთა მიღების საკითხიც. გარდა ამისა, ყურადღება არ ექცეოდა პარტიის რიგებში წამყვანი პროფესიების მუშათა მიღებას. კრებაზე კრიტიკული სიტყვებით გამოვიდნენ ავრეთვე ამხანაგები: ვ. გელაშვილი, კ. აფხაზიშვილი, ნ. ფრუიძე და ი. ოსაძე. მათ ილაპარაკეს როგორც მიღწევებსა, ისე ნაკლოვანებებზე და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს რკინიგზის კვანძში პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

○

საანგარიშო კრებამ რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩეულ იქნა ახალი პარტიული კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით.

პარტკომის მდივნად არჩეულია ამხ. პ. სარქისოვი, მის პირველ მოადგილედ ამხ. ჟ. ბოდოკია და მეორე მოადგილედ — ამხ. ხ. ონანაშვილი.

ივ. ჟურულოვი
ს. ცირეკიძე

ორდენოსანი გოგონა და მისი ჯოჯ-ამხანაგები

ეთერ გვანცელაძე საბჭოთა საქართველოს ხნისაა. ორდენოსანი გოგონა, განათლებული, კულტურული, ახალგაზრდა საბჭოთა ქალიშვილი. ასობით და ათასობით, მილიონობით ჰყავს ასეთი ქალიშვილები საბჭოთა ხალხს. ისინი კითხულობენ წიგნებს, ერთ ახალ მოთხრობასაც არ გაუშვებენ წაუკითხავს, პოეტური შემოქმედების არცერთი ნიმუში არ გამოპარებათ წაუკითხავი; სწავლობენ ჩვენს წარსულსა და იარაღდებიან მომავლისათვის.

განვლიან წლები. ისინიც კარისკენებენ სტალინური ეპოქის ბედნიერი ბავშვობის ხანას.

... საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი იყო, 1936 წელი. ეთერ გვანცელაძე, მაშინ კიდევ პიონერი, შვიდწლედის ფრიადოსანი მოწაფე იყო, ყველაზე უკეთესი მოწაფე და ამიტომ ჩარიცხეს იგი საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა დელეგაციაში. ეთერი ყველაზე პატარა, ყველაზე ნორჩი იყო ამ დელეგაციაში.

დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა. რა კარგად ახსოვს ეთერს ყველაფერი ეს. 19 მარტს დელეგაცია კრემლში მივიდა. დარბაზში საქართველოდან წაღებული საჩუქრები ეწყო—ციტრუსები, ყოველგვარი ხილი კალათებში, ხალიჩები, ყურძენი, რა გინდა სულო და გულო. ეთერი დარბაზს თვალიერებდა და უფროსების საუბარში არ ერეოდა (მეტიჩრობა არ გამოიჩინოო, მამამ დააბარა). ამ დროს გაისმა ტაში.

დარბაზში შემოვიდა დიდი სტალინი თავისი უახლოესი თანამებრძოლებით.

თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი ეს და არა მაშინ, როცა ეთერ გვანცელაძე ჯერ კიდევ პიონერი იყო. იქ პატარა ეთერი, ბეჯითი და სანიმუშო ყოფაქცევის პიონერი, ორდენით, პატეფონითა და ოქროს საათით დაჯილდოვეს.

დიდმა სტალინმა გადასცა მას საათი.

— მოდი, გოგონა, წაიღე, ქარგი საათია, ბიძია!

დაუვიწყარია ეთერისათვის ბელადის სიტყვები. მშობლიური სიყვარულით, დიადი სინაზით გამთბარი სიტყვები. რა განსაკუთრებული, რა განუმეორებელი გამომეტყველება აქვს ბელადს.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უკმაბნია ტოლ-ამხანაგებისათვის ეთერ გვანცელაძეს ამ დაუვიწყარი შეხვედრის, ამ ბრწყინვალე დღის—1936 წლის 19 მარტის შესახებ.

ახლა ეთერ გვანცელაძე, ჩვენი ქვეყნის ორდენოსანი ქალიშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტშია. ანატომიას, ჰისტოლოგიას, ემბრიოლოგიას და სხვა სამედიცინო დისციპლინებს სწავლობს.

— ექიმი ვიქნები, ხალხს ვემსახურები.—ამბობს პირველკურსელი გოგონა.

ასევე ამბობენ მისი ტოლ-ამხანაგები — გოგუცა ჯანუაშელი, ქეთო ბაქრაძე, თალიკო ბოკუჩავა. ხალხს ვემსახურებით, ამაზე მეტი ბედნიერება რა არისო.

საბჭოთა ხალხის სამსახურისათვის ემზადებიან საბჭოთა ხალხის შვილები.

ისინი საბჭოთა საქართველოს ტოლები არიან.

დ. ამირანიძე

ხალხთა სტალინური მეგობრობა მეგობართა დროშით

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად ახალ-ახალ ბრწყინვალე წარმატებებს აღწევენ. მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი საბჭოების არჩევნების მზადების დღეებში მომძლე საქართველოს, უკრაინის და სომხეთის კოლმეურნეობათა შორის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება.

იბრძოდნენ რა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სოციშეჯიბრებაში ჩაბმულმა კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა, საკოლმეურნეო ბრიგადებმა და რგოლებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1939 წლის გეგმები, თვალსაჩინოდ გააღიდეს ყველა კულტურის მოსავალი, ასწიეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ისინი სასახელო წარმატებებით წარსდგნენ 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შიდიან 1940 წლის გამოფენაზე.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც უკრაინის სსრ კამენეც-დნეპროვსკის რაიონის კოლმეურნეობებს ეჯიბრებიან, შარშან საშუალოდ ჰექტარზე 55,5 ცენტნერი ყურძენი და 11 ცენტნერი სიმინდი მიღეს, აბრეშუმის პარკის მოსავალი კოლოფ თესლზე 52,1 კილოგრამამდე გაადიდეს. შარშან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა ზესტაფონის რაიონის 31 კოლმეურნეობა და 68 მოწინავე ადამიანი. მომდინარე წელს კი მონაწილეობას მიიღებს 49 კოლმეურნეობა და 250 მოწინავე ადამიანი.

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა, რომელიც საქართველოს და უკრაინის მძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შორის მოწყობილი სოციშეჯიბრების პირველი ინიციატორია, შარშან სასოფლო - სამეურნეო გამოფენაში ფართო ჩვენებით იღებდა მონაწილეობას და დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით და ორდენით. სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ეჯიბრება უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობას და სისტემატური მეგობრული მოწერა-მოწერა აქვს მასთან.

ამავე რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა საქართველოსა და სომხეთის მძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შორის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების პირველი ინიციატორია. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას სოციშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს სომხეთის სსრ ჰოჭტემბერიანის რაიონის სოფ. პატარა-შალრიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა და მოსკოვის ოლქის კრასნოპოლიანსკის რაიონის კოლმეურნეობები „ნოვაია ჟიზნ" და „ვპერიოდ". ნატანებლებმა ამ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებები მოიპოვეს. შარშან ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3.016 კილოგრამამდე გაზარდეს, სახელმწიფოს ჩააბარეს 10 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი, გადაჭრებით შეასრულეს ჩაისა და ტუნგოს ნაყოფის დამზადების, აგრეთვე ციტრუსებისა და ეკალიპტის გაშენებისა და სხვა სამუშაოთა გეგმები. ეს კოლმეურნეობა მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით და გამოფენაში წელსაც იღებს მონაწილეობას.

ახალქალაქის რაიონის სოფ. კარზახის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა სოციშეჯიბრებაში ჩაბმული აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის სოფ. აზიზბაიოლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან. კარზახელ კოლმეურნეებს რამდენიმე თვის წინათ ესტუმრნენ აზერბაიჯანელი კოლმეურნეები, რომლებმაც შეამოწმეს მათთან დადებული სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და შედეგებით კმაყოფილი დარჩნენ.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ამ შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი იმაში, რომ მთავარი საგამოფენო კომიტეტისაგან მიეღოთ მეორე ხარისხის დიპლომი.

უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ბელოკურაკინსკის მტს-თან შეჯიბრებაში სილნოლის რაიონის ულიანოვკის მტს-ი საქართველოს ერთერთი მოწინავე მტს-ად გადაიქცია. შესანიშნავი წარმატებებისათვის და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწვეულ მტს-ად გადაიქცა. შესანიშნავი წარმატებებისათვის და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის მიღებ

პრესის მიმოხილვის მაგიერ

წითელარმიელთა წერილები გაზეთში

ლაგოდეხის რაიონის სოფ. ფოდაანის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი ამხ. ალექსანდრე გულიაშვილი ახლა მუშურ-გლეხური წითელარმიის რიგებშია. იგი ერთგულად ასრულებს წითელარმიელის მაღალ, საპატიო მოვალეობას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პანების მძიმე უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, წითელარმიელი გულიაშვილი არ ივიწყებს თავის რაიონს, თანამემამულეებს, იმ კოლმეურნეობას, სადაც წინათ მუშაობდა. იგი სწერს თანამემამულეთ წერილებს, სადაც მოუთხრობს წითელი არმიის გმირულ ცხოვრებაზე, თავის სწავლასა და მუშაობაზე. ამხ. გულიაშვილი დაინტერესებულია თავისი რაიონის ცხოვრებით, იწერს რაიონულ გაზეთს.

„მე, წითელ არმიაში თქვენგან გაგზავნილმა, ჩვენს მიტინგზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, ავიღე ვალდებულება წითელი არმიის 22 წლისთავს მომზადებული შეხვედი... ალბაზარო კადრები ასე, რომ ისინი მოწინავენი იყვნენ.. ვიყო ავტორიტეტიანი და არ მივცე არცერთი დისციპლინარული სისუსტე. ჩემს სიტყვას ყოველდღიური ენერგიული მუშაობით შევასრულებ“,— ამ რას სწერდა ამხ. გულიაშვილი ფოდაანის კოლმეურნეობა „წინსვლის“ აქტივისადმი მიწერილ ერთერთ წერილში, რომელიც შემდეგ მთლიანად გამოქვეყნდა ლაგოდეხის რაიონულ გაზეთში.

გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ ბეჭდავს წითელარმიელების წერილებს. ამასწინათ მთელი გვერდიც კი დაუთმო მათ. წითელარმიელები მთელ რიგ საინტერესო ამბებს იუწერებიან თავიანთი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. მათი წერილები გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმის გრძნობით. აი რას სწერდნენ წითელარმიელები ვ. მერაბიშვილი, მ. ქუფარაშვილი, გ. კურტანიძე, ვ. მიქაუტიძე, მ. გველესიანი და ა. გოგიტაშვილი თავიანთ კოლექტიურ წერილში ქ. ბრესტ-ლიტოვსკიდან:

„ჩვენს შესახებ დივიზიის გაზეთში წერილი დასწერეთ თქვენი გაზეთის „ბრძოლა თამბაქოსათვის“ კორესპონდენტმა თედო სანაკოევმა. თედო აქაც ავტორიტეტიანი კორესპონდენტია, უშიშარი კრიტიკოსი. ლეგიონის სკოლა ფრიადზე დაამთავრა, 14 მაღლობა აქვს, ორჯერ დაჯილდოებულია. თედომ წამოიწყო ჩვენთან სოც.შეჯიბრება და მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ...“

საბრძოლო მომზადებაში მიღწეულ თავის წარმატებებზე სიამაყის გრძნობით იწერება აგრეთვე ამხ. ანთიმო მელაშვილი:

„საველდებულო სამხედრო სამსახურის გავლა მე მიხდება უცრაინის რესპუბლიკაში. მე უკვე შევისწავლე რუსული ენა. რუსულ ენაზე გსწავლობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას... ვითვლები ოცეულის უფროსის თანაშემწედ. ყოველდღიურად ვეუფლები სამხედრო საქმეს. ქეიფები ისე შევისწავლე, როგორც ჩემი ხუთი თითი. საჭიროების შემთხვევაში შემიძლია ვუხელმძღვანელო სა ცეცხლო ოცეულს, კარგად შევისწავლე ატრილერიის საქმე. ვითვლები საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრაგდოსნად... საუკეთესო წარმატებებისათვის 1939 წლის მაისში დამაჯილდოვეს... წითელი არმია ჩვენ გვზრდის ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილებად. ჩვენ ამ საპატიო მზრუნველობას მეტი წარმატებით გუპასუხებთ“.

ასეთ წერილებს ხშირად შეხვდებით ლაგოდეხის რაიონულ გაზეთში. მან უთუოდ კარგი საქმე წამოიწყო. მისი მაგალითი მისაბაძია.

სედოველთა მეცნიერული მასალების დამუშავება

შამაცმა საბჭოთა მეზღვაურებმა — ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ ეკიპაჟის წევრებმა ცენტრალურ არქტიკაში მეცნიერული დაკვირვების ვრცელი პროგრამა შეასრულეს. გმირმა სედოველებმა სამშობლოში ჩამოიტანეს შესანიშნავი დრეიფის განმავლობაში დაგროვებული უძვირფასესი მეცნიერული მასალა.

— როდის დაიწყება და როგორ დამუშავდება ეს მასალა?

უპასუხა რა ამ კითხვაზე, საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ვ. ს. ბუინიცკიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

— ჩვენ მოვახერხეთ საფუძვლიანი მასალის შეგროვება, რომელიც ჩამოტანილია მოსკოვში. მრავალი დაკვირვების ჟურნალები და დღიურები, სავანტო ჟურნალები, ფოტოსურათები, თვითჩამწერ მეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ლენტები, ავტომატური ფოტოჩანაწერები, რომელნიც ასახავენ ქანქარიანი ხელსაწყოს ჩვენებებს, პლანქტონისა და ოკეანის ფსკერის ნიადაგის სინჯთა ნიმუშები, — ყოველივე ეს ამჟამად ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში ინახება. უახლოეს დღეებში ეს მასალა ლენინგრადს გაიგზავნება. იქ მას გულდასმით დაამუშავებენ მეცნიერულად არქტიკულ და ასტრონომიულ ინსტიტუტებში. მასალის დამუშავება მარტის პირველ რიცხვებში დაიწყება. ვარაუდით იმ დროისთვის უნდა დამთავრდეს ჰიდროლოგიური სინჯების სიმლაშის წინასწარი გამორკვევა, რაც ამჟამად სწარმოებს მურმანსკში.

როგორც ვიცით, „სედოვის“ მეზღვაურებმა დიდი მუშაობა შეასრულეს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სიღრმეთა გასაზომად და ყინულების მოძრაობის შესასწავლად.

ამ მასალის განზოგადებას ხელმძღვანელობას გაუწევს კ. ს. ბადიგინი. იმ ყინულების ხასიათის შედარება, რომლებიც თან სდევდნენ „ფრამის“ დრეიფს და „სედოვის“ დრეიფს, საშუალებას მოგვცემს დასკვნა გამოვიტანოთ ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების შეცვლის შესახებ, რაც ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში მოხდა. საინტერესო იქნება ჩვენი მონაცემების შედარება იმ მასალასთან, რომლებიც პაპანინელებმა მიიღეს ჩრდილოეთის პოლუსიდან გრენლანდიის ნაპირებისაკენ დრეიფის დროს.

დრეიფის განმავლობაში „სედოვის“ მეზღვაურებმა აიღეს 43 ჰიდროლოგიური სადგური. ჰიდროლოგიის მონაცემთა სისტემატიზაციაზე იმუშავებს ამხ. ა. გ. ეფრემოვი.

უდავო ინტერესს წარმოადგენს ჩვენი მაგნიტური დაკვირვების შედეგების დამუშავება. მარტო „ერმაკის“ წასვლის მომენტიდან „სედოვზე“ გაკეთდა 78 მაგნიტური პუნქტი და ჩატარდა 10 სერიული სადღეღამისო დაკვირვება.

ყინულმჭრელ გემზე „გიორგი სედოვზე“ დრეიფის განმავლობაში მიღებული მასალის განზოგადებისა და სისტემატიზაციისათვის მუშაობაში განზრახულია ჩაბმული იქნან პროფესორები ვ. ი. ვიზე, ნ. ნ. ზუბოვი და ი. დ. ჟონგოლოვიჩი. ჩვენი მასალის დასამუშავებლად ინსტიტუტებში სპეციალურად გამოყოფილი იქნება მეცნიერ მუშაკთა ჯგუფები.

როცა ჩვენი მეცნიერული მუშაობის შედეგები შეჯამებული იქნება და ჩვენი მასალის შესწავლა დამთავრდება, ჩვენ შეუდგებით მომზადებას დიდი გამოცემისას „მოდრეიფე ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ ეკიპაჟის ნაშრომები“. (საკდესი).

ახალი თავდაცვითი ფილმები

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის ეკრანებზე გამოშვებული იქნება რამდენიმე ახალი მხატვრული თავდაცვითი ფილმი.

ოდესის კინოსტუდიის მიერ დადგმული ფილმი „მეზღვაურები“ მიძღვნილია საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებისადმი, რომლებიც თავიანთ სამშობლოს იცავენ. კიევის სტუდიის მიერ გამოშვებული ფილმი „ავიაგამანადგურებლები“ მოგვითხრობს ახალგაზრდა საბჭოთა მფრინავებზე, მათს მტკიცე მეგობრობაზე. ლენინგრადის კინოსტუდიის დიდი, საინტერესო ფილმი „ყაბარდოელი მხედარი“ მიძღვნილია შესანიშნავი მოძრაობისადმი — წითელი არმიისათვის ცხენების მოშენებაზე აღებული შეფობისადმი.

ეკრანზე გამოვა მთელი რიგი სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალური თავდაცვითი ფილმები. (საკდესი).

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ციტრუსოვანთა და ჩაის სამუშაოებს

ა. მელაძე

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი.

მით ნიადაგი 20 ჰექტარზე უნდა მომზადებულიყო, ფაქტიურად კი 64 მუშა-ხელიდან არც იანვარში და არც თებერვლის პირველ რიცხვებში აქ არცერთი კაცი არ მუშაობდა ამ საქმეზე.

ასევე ჩამორჩა ქალაქთუბის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა, — ნაცვლად 30 ჰექტარისა ციტრუსებისათვის მხოლოდ 1 ჰექტარი მოამზადა. ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადებაში მუშა-ხელი არც კვირიკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაშია გამოყენებული.

ყოველივე ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები უპასუხისმგებლობას იჩენენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

აღსანიშნავია ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის უპასუხისმგებლო განცხადება იმის შესახებ, თითქოს მათ კოლმეურნეობაში საკმაო რაოდენობით არ იყოს ფართობი ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად. ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ კოლმეურნეობებს ვაცილებით უფრო მეტის გაშენება შეუძლიათ, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. დაბრკოლება მხოლოდ ის არის, რომ ფართობები გასაკაფავი და გასაწმენდია, რასაც ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყურადღებას არ აქცევს.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რაიონთა შორის შედარებით უკეთესი, ხელსაყრელი პირობები ციტრუსების განვითარებისათვის ჭიათურის რაიონს აქვს. აქ საკმაოდ ბევრია ფართობი ქერძოდ ლიმონის გასაშენებლად, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჭიათურის რაიონის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს კარგად ახსოვთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ ლიმონის გასაშენებლად არ უნდა ვეცადოთ დიდი მასივების ალმოჩენას, არამედ საჭიროა ავითვისოთ ჩამონაპრებიც, რომელიც დაიტევს 20-30-50 ძირ ლიმონს.

ჭიათურის რაიონს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აგრეთვე ჩაის. როგორც ფართობის სიდიდის, ისე მოსავლიანობის მხრივ. ჩაის პლანტაციები აქ 3.718 ჰექტარს აღწევს, აქედან კოლმეურნეობებში არის 2.307 ჰექტარი. 1939 წლის ჩაის მოვლის საწარმოო დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულებითრაიონმა უზრუნველჰყო ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმის გადაჭარბებით განაღდება — ნაცვლად 7.848.000 კილოგრამისა, მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7.981.000 კილოგრამი ფოთოლი — გეგმის 101,6 პროცენტი. რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაციებიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 3.940 კილოგრამი ფოთოლი.

მომდინარე წელს ჭიათურის რაიონში ჩაის მწვანე ფოთოლი ბევრად მეტი უნდა მოიკრიფოს, ვიდრე შარშან — მოიკრიფება დაახლოებით 8.542.000 კილოგრამი.

ამ დიდი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და მაღალხარისხოვნად გატარება. საჭიროა კერძოდ ნიადაგის დროული გადაბარვა, ბუჩქის გასხვლა-გაფორმება, პლანტაციებში სასუქების შეტანა, მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის დროულად ჩატარება. მხოლოდ ამ საშუალებათა გატარებით შეგვიძლია წარმატებით განვახორციელოთ ამხ. ლ. ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ 1940 წელს სრულმოსავლიან პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე იკრიფებოდეს სულ მცირე 2,5 — 3 ათასი კილოგრამი ფოთოლი.

ჭიათურის რაიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ევკალიპტის გაშენებას და მის წესიერ მოვლა-პატრონობას. მარტო მომდინარე წელს რაიონში უნდა დაირგას 637.000 ძირი ევკალიპტი. ამ სამუშაოთა შესრულება ჩვენგან დიდ ყურადღებას მოითხოვს. ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რაიონში ტუნგოს პლანტაციის გაშენებას. მარტო მომდინარე წელს უნდა გაშენდეს 10,5 ჰექტარი ტუნგო.

მომდინარე წელს ჭიათურის რაიონში უნდა დაითესოს 2.600 ჰექტარი მარცვლეული, 60 ჰექტ. ბოსტნეული, 120 ჰექტ. საჭონლის საკვები კულტურები. გაზაფხულის პერიოდში უნდა აშენდეს 12 სასიოსე კოშკი და მომზადდეს 300 ტონა სილოსი.

საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით რაიონში შეკეთებულია 5 ტრაქტორი მათთვის საჭირო გუთნებით, ხოლო კოლმეურნეობებში მომდინარეობს სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი. მიღებულია აგრეთვე ზომები კოლმეურნეობებში დამატებით საჭირო იარაღ-მანქანების შემოზიდვისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში დამთავრებულია წლიური ანგარიშების შედგენა (სულ რაიონში 44 კოლმეურნეობაა). გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში დარღვეულია შრომის დისციპლინა, მთელი რიგი წევრები ხშირად არ გამოდიან სამუშაოზე, გამომუშავებული არა აქვთ შრომადღეების მინიმუმი.

ასეთი ეულირსი წევრების მიმართ კოლმეურნეობებმა ახლავე უნდა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს წლიური საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ბარგეთა ბალანსების შედგენა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჭიათურის რაიონის ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები შესრულებულ იქნას დროულად და მაღალხარისხოვნად.

მანევრებზე

მხატვ. ჯ. სიდამონ-ერისთავის ნახატი.

ჩემო სამშობლოვ

ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
ველზე დაღვრილო ნიავო,
წყაროვ ნასხლეტო კლდიდანა,
ტყეში მოსულო იავო,
სტალინის შუქით კამთბარო,
ქვეყანავ გულმკერდიაო,
შინდა სულ მუდამ გიმღერო
სულ მუდამ გიღოლიავო.

როცა კი შამგლისფერდება,
სხივნი ჰკრთებიან მზისანი,
უფსკრულში იძირებიან
მუზარადები მთისანი,
დაბინდდებიან თვალები
მაგ ნარიანას კლდისანი,
ღამე დაიწყებს ხადილსა...
თრთიან მკხოვრებნი დღისანი.

გაივლის ცოტა ხანიცა—
ვაკეს ერჩევა კლდიანი;
ცის ტატნად მთები დაჩნდება
სპეროზა ქანჩახიანი,
მთვარეც ამოვა პირსავსე
წალერკო ხალებიანი —

ძირს შეწვდეთ ვარსკვლავანი.
ორიე ვარსკვლავანი.

ეხლა ხომ ცისკრის ხანია
ღამე უფსკრულში ვარდება
მალე დახევენ ღრუბლებსა
ცაზე დაკიდულს ფარდებად.
აყვავდებიან ტიალნი
დარცხვენილ ია-ვარდებად —
საცაა შიწის გულიდან
დღეის მზეც ამოვარდება.

ვდგევარ. გავყურებ ცის კიდეს
ნისლებს დარცხვენილს,
შორეულს...
პირზე ნათელი მადგება
გულზე სიამემორეულს...
რა შეაჩერებს დილის მზეს,
მზეს ამომავალს ზვიადსა,
რა შეაჩერებს ბელადო
შენს საქმეს, უკვდავს დიადსა!

გიორგი ქაბაგიძე

სოფ. ზემო-ალვანი
თელავის რაიონი.

მზის შუქი ამოგვესირმა

თებერვლის შუქმა მოკონა
სისხლი ცრემლებად ნაფური,
დედის რძესავით დაგვიტკბო
სინათლე გარიჟრაჟული.
ოჭროს სიუხვის თაველი
მზეს მოჰყვა, როგორც ნობათი.
არ გვრჩება მიწა მტკაველი
უშრომელ შეუცნობადი.
ღიმილის მჩენელ არაკად
გვაქვს სიხარული ულევი, —
ოქროს ბარაქას გვაძლევენ
გაშლილი ხოდაბუნები.
ძირში ვკვეთთ მტრების საქციელს
სხვისი ნოხფლის ტაცებას,
შრომა გმირობად ვაქციეთ
შრომის და ბრძოლის კაცებმა.
გვიხანგრძლივებენ სიცოცხლეს
გულანთებული ბიჭები,
გარკინდა ჩვენი ერთობა
წინ მიდის სწრაფი ბიჯებით.
დასაბამიდან დღეს ვნახეთ
დღისა და ვარდის სურნელი,
შევხარით დავთკაცებას
მებრძოლი კოლმეურნენი.
ერთობლივ ერთობისაკენ
ვნახეთ ნაპირი ფონისა,

მზის შუქი ამოგვესირმა
ლალ-ზურმუხტ-საფირონისა.
ჭარმა დაგლიკა ფარაჯა
ურუბლის... და შუქი ზვიადობს,
გვადგია მუდმივ დარაჯად
ცისკარი საგანთიადო.
შრომის და ბრძოლის სიახლეს
შეხვდა გმირული მხნეობა,
ხელი ხელს გადავადუღეთ
მშრომელმა მოსახლეობამ.
შევხარით გაბარებულნი
სიცოცხლის კეთილდღეობას
ბელადის ვარსკვლავს
ეფიცულობთ

ჭარაგმა-ენამზეობას.
ახალ ცხოვრებას ვაშენებთ
გულგაბადრული სრულებით.
მტრები ძაბრად ჩაყიფენ,
გაბდნენ ფრთა დაისრულებ.
დაგვიშრა თებერვლის შუქმა
ჩვენი წყლულების ნაფური, —
დედის რძესავით დაგვიტკბო
სინათლე გარიჟრაჟული.

კოლმეურნე ასანა ყოჩიაშვილი

სოფ. ზემო-მაჩხაანი
წითელ-წყაროს რაიონი.

საბჭოთა საქართველოს

ასე გიმღერდა აკაკი:
—ქვეყანავ, ძველთა ძველოო,
დღეს უძლური ხარ, სხეულა
პოეტის გულის მწველოო.
მთლად დასჭნა შენი სიტურფე
როგორც მზისაგან მდელოო,
მაგრამ დრო მოვა მშრომელი
აღგადგენს საჭართველოო.

სიბნელე იწვა ამ ქვეყნად,
მთვარეს ღრუბლებში ეძინა,
ჰფარავდა შავი ღრუბლები
შუქი ვერ გადმოეფინა.
დაღვრემილიყვნენ მშრომელნი
(ბნელში ადა ვის ელხინა?)
იმედი გათენებისა
ჰქონდა და არ მოეწყინა.

სწამდა, რომ ღამეს უმთვაროს
დღე მოჰყვებოდა მზიანი,
ზამთარსა ცივსა უსითბოს
გაზაფხული ვარდნი, იანი,
გაზაფხულს მოსდევს ზაფხული
თბილი, არ სცივიანი,
ზაფხულსა შემოდგომაი
ღალიან - ბარაქიანი.

თებერვლის დილა გათენდა,
ქარი ქროდა და ციოდა,
მაღლიდან თოვლის ფიფქები
დაბლა ნელ-ნელა ცვიოდა,
სულიერსა და უსულოს
თითქოს სულ ყველას სცივოდა;
ბუმბერაზ კავკასიონზე
ჯარები გადმოდიოდა.

ვერც ყინვა, ვერცა დაჭანცვა
ვერ აშინებდა გმირებსა,
ბრძოლა-შრომაში ნაწრთობებს,
მშრომელი ხალხის შვილებსა.
ამგვარი ხალხი ყოველთვის
თავის მტერს აატერებსა.
ისეთ ბაგარსა შემოკრავს
ქვეყანას გააკვირვებსა.

მაღლა აღმართეს დროშები
ლაზურგზე ასე სწერიან:

„მთლიანად გავანადგუროთ
ჩვენი მჩაგვრელი მტერია,
მიწის პირიდან აღვგავოთ,
როგორც ცოცხითა მტვერია,
ჩაგვრისგან უნდა დავიხსნათ
ჩვენი მშრომელი ერია!“

მშრომელმა ხალხმა ძმურადა
მიეცით ხელი ხელსაო,
შეერთებული ძალებით
მები დავეცით მტერსაო.
ხალხის მტერებს — მენშევიკებსა
ვხოცდით, ვადენდით მტვერსაო
ვამბობდითო: დროა მოისპოს,
ვინც ხალხი დააკვნესაო!

ჩვენ ავაყვავეთ სამშობლო
მშრომელთა მძლავრი ხელითა;
ისე გავთიბეთ დუშმანი,
როგორც ბალახი ცელითა,
სულ მოიფინა ნათელით
რაც მოცულ იყო ბნელითა,
აღარ ვიტანჯვით ცხოვრებით
დუხჭირით გულისმწველითა.

„ცა ფირუზ ხმელით
ზურმუხტო“, —
სამშობლოვ რუსთველისა,
მტრის ბეერჯერ შავად შემღებო
ტყისა, მთისა და ველისა.
განთავისუფლდი, მარადის
მეგაშრა ცვარი ცრემლისა,
გამართლდა დიდი იმედი
აკაკი წერეთელისა.

თებერვლის თვეში დავკარით,
მტერს მოვუკალით გული,
ჩავძირეთ უფსკრულ ზღვაშიო
და იქ აღმოხდა სული.
განთავისუფლდი ამირან,
რომ იყავ მიჯაჭვულია,
დღეს შენს გულში, და მამულში
უსაზღვრო სიხარულია!

მიხეილ ჭინჭარაული

სოფ. ბარისახო
დუშეთის რაიონი.

თეთრფინელებთან ბრძოლის გმირები

კაპიტანი კუშნირი

ასეთი ადამიანები დარცხვებიან სოლძე, როცა მათ მიერ ჩადენილ ვაჟკაცურ საქმეებს გმირობას უწოდებენ. ისინი მღელვარებით ირწმუნებიან, განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებიაო. ეს ადამიანები ირჩარიან სხვა თემაზე გადაიტანონ საუბარი და აღტაცებით მოგვითხრობენ თავიანთი ამხანაგების საგმირო საქმეთა ამბავს.

ამ მომხიბლავი თავმდაბლობით, თავიანთი თანამებრძოლებისადმი გულწრფელი, საუცხოო სიყვარულით შეუცდომლად იცნობ ნამდვილ გმირებს.

... მაგრამ რა არის გმირობა?

○

სამი დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლა... უბრალო სიტყვებია. მაგრამ რამდენი ბრძოლა და გმირობაა ჩაქსოვილი ამ დღეების ყოველ წუთში!

ყოველი წუთი გამოცდაა სიმტკიცის: ომისა, თუ რამდენად შეგწევს უნარი სწრაფად იმოქმედო, მარჯვედ გასწორ მანევრირება, ყველაფერი გაითვალისწინო, ელვის სისწრაფით გამონახო გამოსავალი. ყოველ წუთს შეიძლება დადასწყვიტოს ბრძოლის ბედი.

სამი დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლა — ეს 4.320 ასეთი წუთია...

მაგრამ სამმა დღე-ღამემ განვლო — და მეოთხე დღე-ღამის პირველმავე წუთმა ახალი ამოცანა დაუსახა ბატარეის მეთაურს, კაპიტან ათანასე მირონის-ძე კუშნირს.

მოწინააღმდეგე თავხედდებოდა. პოზიცია ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო, რადგან იგი მხოლოდ ნახევარ საათის წინ დაიკავეს. ბატარეის გვერდით დაბანაკებულან მსროლელთა რაზმი, კავალერისტთა ოცეული და აღალი.

მარცხენა ფლანგიდან მტრის ხელტყვიამფრქვევები და დაზგიანი ტყვიამფრქვევები მძვინვარებდნენ. თეთრფინელები ჩვენი მებრძოლებისაგან 100 მეტრით იყვნენ დაშორებულნი. დაყოვნება შეუძლებელი იყო.

ამ წუთში ყველაფერს საპასუხო ბათქი სწყვეტდა. და კუშნირის პირველი სიტყვისთანავე: „ცეცხლი!“ 24 ჭურვმა ფინდიხით შემუსრა შუკაორელთა მწკრივები... მტერი შორეული პოზიციებისაკენ გაიქცა.

ყველაზე სუსტი ადგილი იყო მარჯვენა ფლანგი—ფართო ველი. საჭირო იყო აქვე გადაჯგუფება. და კაპიტანმა ახლებურად განალაგა მებრძოლნი. ახლად მოსულმა მსროლელთა ასეულმა და მეორე ასეულის ოცეულმაც დაიკავეს მათთვის ნაჩვენები თავშესაფრები.

ის იყო მოიწყო თავდაცვა, რომ ნალმების ნიაღვარი დაატყდა თავს ჩვენი მებრძოლების მიერ დაკავებულ უბანს. და კაპიტანმა ერთბაშად იგრძნო, რომ ზოგიერთი მებრძოლის დაბნეულობას ასეთ ვითარებაში შეეძლო დიდი უბედურება მოეტანა.

ამ წუთში ყველაფერს სწყვეტდა გამაშხნევებელი სიტყვა. და პირადი მაგალითი.

— სმენა!—შესძახა კუშნირმა.

იგი უმიშრად მიდიოდა ერთი სანგრიდან მეორეში, განუმარტავდა ყველას, თუ როგორ დაეცვათ თავი ნაღმებისაგან. მისი იარაღი იყო ბრძანება და ხუმრობა, მოწოდება და განმარტება. ამან მხნეობითა და გამბედაობით აღავსო ხელქვეითთა გული.

მტერი კი მოცოცავდა. მარჯვენა ფლანგიდან მოიწევდა თეთრფინელთა ასეული, მარცხენა ფლანგიდან— ოცეული, პირისპირ—ასეული. მთელ უბანში მძვინვარებდა ტყვიამფრქვევების, ნაღმფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი.

ბანდიტების წინააღმდეგ საპასუხო ბათქისათვის ქვემეხი ახალ პოზიციაზე, მარჯვენა ფლანგზე უნდა გადაეტანათ.

და აი, მიუხედავად სეტყვასავით წამოსული ტყვიებისა, იგი წაათრიეს საბჭოთა ადამიანებმა, წაათრიეს მაგარი, ჩვენთვის ძვირფასი ხელით. უშიშრად მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს 60 მეტრზე.

... თავდასხმის მთელ მოედანს ფინდიხის საპასუხო ნიაღვარი მოეღო. მტერი დადუმდა—და ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაქცეული მტრების ქვეშა და პანიკური ყვირილი გაისმა. ქვემეხის 15 ყუმბარამ გააცამტვერა თეთრფინელთა ჯგუფი, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს...

მაგრამ მარცხენა ფლანგიდან მტრები ყუმბარის სასროლ მანძილზე მიუცოცხლდნენ გზას და ხეებზე აძვრნენ.

მაშინ კუშნირმა ბრძანა ქვლავ გადაეტანათ ქვემეხი მარცხენა ფლანგზე. ამ წამს ყუმბარამ დასჭრა მემიზნენე. მაგრამ ქვემეხის მწყობრი არ შემდრკალა. ქვეითელებთან ერთად არტილერისტებმა ხელით გადაიტანეს ქვემეხი. შრაპნელის ბათქმა ხეებიდან ჩამოჰყარა მტრის ყველა სნაიპერი, მაგრამ მტრის თავშესაფრებს შრაპნელი ვერაფერს აკლებდა. და კუშნირმა ბრძანა ტყის მასივისათვის დაეშინათ ქვემეხის ყუმბარები. მათი ნამსხვრევები თავზე ეყრებოდათ თეთრფინელებს. ამ უბანზე მტერი აღარ გამოჩენილა...

მებრძოლნი მთელ ღამეს უშენდნენ იმ ადგილებს, სადაც გასროლის შემდეგ გაიელვებდა ხოლმე მოწინააღმდეგის ცეცხლი. გათენებისას კი განმეორდა ნაღმების სროლა. მტერი შეტევაზე გადმოვიდა.

დადგა ბრძოლის უაღრესად კრიტიკული მომენტი. მტერს დიდი ძალები ჰყავდა. თეთრფინელები კვლავ დაეტაკნენ ქვემეხებს. ბრძანება გაისმა: ცეცხლი თავდაცვის მარჯვენა ფლანგი.

ლეიტენანტმა ტიშჩენკომ, ქვემეხის მეთაურმა ყადაღმა, მემიზნე ჩერნენკომ და მექლიტე მიაგკომ ზარბაზანი ხობვით წაათრიეს მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფლანგისაკენ. ქვემეხმა ვერც კი მოასწრო ცეცხლის გახსნა, როცა მოკლულ იქნა დამტენელი, დაჭრილ იქნა ოცეულის მეთაური და ქვემეხის მეთაური. მაგრამ ცოცხლად დარჩენილთაგან, არავინ მოშორებია ზარბაზანს. მისმა სროლამ მტერი კვლავ გააქცია...

მალე მაშველი ძალა მოვიდა კუშნირთან: ორი ასეული და აღალი. და კაპიტანი წინ გაუძღვა დიდ კოლონას, იგი პირველი მიიწევდა ჯავშნოსანი ავტომობილით. წინ ხიდი იყო აფეთქებული. მის გარშემო მთელ მოედანს ნაღმებს უშენდნენ.

მანქანები შეჩოქილითი გზით გაეართნენ ძველი ხიდის ნარჩენებზე. ეს იქით არაჩვეულებრივად ციცაბო, ფერდობი ღობარით იყო. საბჭოთა ადამიანებმა მხრებით აზიდეს მთაზე ათობით ავტომანქანები და რამდენიმე ქვემეხი. დაჭრილმა ლეიტენანტმა ტიშჩენკომ, რომელიც ენერგიულად ხელმძღვანელობდა ადამიანებს, სამტონიანი მანქანის ბუქსირით ამოზიდა უკანასკნელი მანქანები. მანქანას ამხანაგი ბელი მართავდა.

რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მტრების ბანდამ კოლონა შუაზე გადასჭრა.

კუშნირმა გადაწყვიტა: თავისი გაყოფილი კოლონის ორივე ნაწილს ებრძოლებინა ერთმანეთის ზურგით. ასე გამოეცდინა თავდაცვის ფრონტი.

სწრაფად გარსშემორტყა თეთრფინელებისათვის და ამ გზით მოესპო ისინი. შეძახილებით — „სტალინისათვის!“, „ვაშა!“—მებრძოლნი ორივე მხრიდან ესვენთნენ შეკორელებს, მტერი რკინის სალტეებში იქნა მოქცეული. საბჭოთა ადამიანებმა ამჯერადაც გაიმარჯვეს.

○

ორდენოსანმა ათასანი კუშნირმა სროლასა და სუსხში გამოატარა დიდი კოლონა.

მეთაურებმა და მებრძოლთ ასობით თავდასხმას, განუწყვეტელ სროლას გაუძლეს, ათეულჯერ გადაეცვნენ იერიშზე.

ისინი მხრებით ეზიდებოდნენ საჭირო მანქანებს, ხოხვით გადაჭრომდნენ ქვემეხები, ერთი დაკვრით გადალახავდნენ ხოლმე მთებს, მამაცურად მიდიოდნენ ნამჭერში. ისინი გაბედულად და მოხერხებულად, გამჭრიახად და თამამად მოქმედებდნენ. ბრძოლის ყოველ წუთში ჰპოულობდნენ სრულიად სწორ გადაწყვეტილებას, სისწრაფით ასრულებდნენ მას. საყვარელი სამშობლოს გულისათვის ანადგურებდნენ მტერს და სასწაულებრივ ვაჟკაცობას სჩადიოდნენ ერთადერთი მიზნით:

— გავმარჯვდნეთ!

○

სწორედ ეს არის გმირობა.

პ. ბეზიმენსკი.

„პრავდა“, I თებერვალი.

ანავოლიის საagენტოს ცნობა

ანკარა, 22 თებერვალი (საკდესი). ანატოლიის საagენტო აქვეყნებს საკდესის მიერ გამოქვეყნებულ უარყოფას, რომელიც მოთავსებული იყო საბჭოთა პრესაში 20 თებერვალს სტეფანის საagენტოს მიერ გავრცელებულ ცრუ ცნობებთან დაკავშირებით, თითქოს საბჭოთა რაზმმა გადალახა თურქეთის საზღვარი კავკასიაში.

ამავეს რა საკდესის მიერ გამოქვეყნებულ ამ უარყოფას, საagენტო უკითებს მას შემდეგ შენიშვნას: „ანატოლიის საagენტო იუწყება, რომ ანკარის წრეებიც უერთდებიან საკდესის მიერ გამოქვეყნებულ ამ უარყოფას“.

ბულგარეთის გაზეთი საბჭოთა ჯარების წარმagებათა შესახებ ფინეთში

სოფია, 22 თებერვალი (საკდესი). ბულგარეთის პრესა უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ჯარების წარმატებებს თეთრფინელებთან ბრძოლაში. გაზეთი „ვარნენსკი ნოვინი“ სწერს: „მთელ ფრონტზე წითელი არმია ელვისებურ შეტევას აწარმოებს. სარდლობის წინასწარი გეგმები არაჩვეულებრივი სიზუსტით ტარდება ცხოვრებაში. მტერი დემორალიზებულია. მას აღარ შეუძლია ორganიზებული წინააღმდეგობის გაწევა. ხან აქ, ხან იქ ფინები, რწმუნდებიან რა წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაში, ჰკრიან იარაღს და გარბიან. საბჭოთა ჯარი გაიგრძობს შეტევას მოტორიზებული ნაწილების, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით. საბჭოთა ჯარი ისეთ წარმატებებს აღწევს, როგორიც ომების ისტორიას არ ახსოვს: იგი არღვევს გამაგრებულ ხაზებს, რომლებიც აგებულია სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საბჭოთა ჯარის გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ შეტევა უაღრესად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს, რაც საშუალებას არ აძლევს წითელ არმიას გაშალოს მთელი თავისი საბრძოლო თვისებანი. მანერჰაიმის ფინეთის დღეები დათვლილია“.

ნორვეგიელი ჟურნალისტი ჩაღიღოეთ ფინეთში ნითელი არმიის საბრძოლო მოქმედების შესახებ

ოსლო, 22 თებერვალი (საკდესი). ნორვეგიულ პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც აღნიშნულია წითელი არმიის მაღალი საბრძოლო გამოწრთობა და ბრწყინვალე ტექნიკა. ცნობილი ნორვეგიელი ჟურნალისტი, ბურჟუაზიულ გაზეთ „დაგბლადეტის“ თანამშრომელი აქსელ კიელანდი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარი ჩრდილოეთ ფინეთში განსაკუთრებული სისწრაფით მიიწევს წინ. აღწერს რა თეთრფინელების დამარცხებას კასკამოს რაიონში (ჩრდილოეთი ფინეთი), კიელანდი სწერს: „ჩვენ, ვინც რუსების მიერ ფრონტის ელვისებური სისწრაფით გარღვევის მოწმენი ვართ, ბევრ რამეს ახლა სხვანაირად ვუყურებთ. იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც სამხედრო ტექნიკაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, შეუძლიათ შეაფასონ, თუ რა ძლიერია წითელი არმია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწინააღმდეგის ტერიტორია ნაღმებით იყო დასერილი, წარმოუდგენელი სისწრაფით აწარმოებს შეტევას.

წითელ არმიასთან ხუმრობა, მართლაც, არ შეიძლება.

ნორვეგიელი მშრომელნი ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ

ოსლო, 22 თებერვალი (საკდესი). ნორვეგიული გაზეთი „არბაიდერენი“ იუწყება, რომ მოდუმის რაიონის მიწისა და ტყის მუშათა პროფკავშირის წევრების კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „მივითხოვთ, რომ მთავრობამ ყოველივე ზომები იხმაროს, რათა ნორვეგია ომში არ ჩაითრიონ. შეშფოთებით ვუყურებთ, თუ როგორ ფართოვდება ომის გაჩაღებისაკენ მიმართული აგიტაცია. კერძოდ, ნორვეგიის რადიოს ისეთი პოზიცია უკვია, რომელიც არ შეიძლება დასახიათებულ იქნას როგორც „უცილობელი ნეიტრალიტეტის“ პოზიცია. ნეიტრალიტეტის პოლიტიკას არ შეესაბამება აგრეთვე გამოსვლა ზოგიერთი ნორვეგიელისა, რომელსაც სახელმწიფო თანამდებობა უკავია. აღშფოთებული ვართ იმით, რომ ფრანგული და განსაკუთრებით ინგლისური გაზეთები სისტემატიურად აქვეყნებენ მიმართავს ნორვეგიის ხმები დადის, ფინელებმა ჩრდილოეთით რუსების კომუნიკაციები გადასჭრესო. საკითხავია, საიდანღა გაჩნდნენ აქ ფინელები? რუსებმა თავიანთი შეტევის დროს ხომ სავსებით გასწმინდეს ტერიტორია მტრისაგან. ალბათ, ფინელები ციდან ჩამოფრინდნენ!“

„ჩვენ, — განაგრძობს კიელანდი, — ვნახეთ ფინელთა ნაღმიანი ველები. მაგრამ ჩვენ ვნახეთ აგრეთვე რუსთა საინჟინრო ჯარი. ჩვენ ვნახეთ რუსები, რომლებმაც სრულიად დანგრეული გზა 15 წუთის განმავლობაში შეაკეთეს. ამასთან ჯარის მოძრაობა ერთი წამითაც კი არ შეწყვეტილა.

სრულიად არ მაკვირვებს, რომ ომის ყველაზე თავგამოდებული აგიტატორები არიან ის ვაჟბატონები, რომლებიც დიდი ხანია გასაწვევ ასაკს გასცილდნენ. შესაძლებელია, ისინი ხმას დაუწევდნენ, წარმოდგენილი რომ ჰქონდეთ, თუ რას ნიშნავს ბრძოლა ტანკების თანამედროვე არმიის წინააღმდეგ.

ყველაზე გონივრული, რაც ჩვენ უნდა მოვიმოქმედოთ, — ეს არის უსასტიკესი ნეიტრალიტეტის დაცვა“.

იაპონია-ამერიკის ურთიერთობა

ტოკიო, 22 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“ იუწყება, რომ 19 თებერვალს პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. შეეხო რა იაპონია-ამერიკის ურთიერთობას, მან თქვა, რომ „იაპონია-ამერიკის ურთიერთობა საფრთხეში იქნება მანამდე, სანამ გაგრძელდება ლაპარაკი ამერიკის შეერთებულ შტატებიდან იაპონიაში საქონლის ექსპორტის ემბარგოს შემოღებაზე“. შემდეგ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იაპონიაში საქონლის გატანის ემბარგოს შემოღებას ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის პრესა უაღრესად სერიოზულ საქმედ სთვლის. ამ აზრს იზიარებენ აგრეთვე იაპონიის საქმიანი წრეები. ამის შემდეგ სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „იგი არ ეთანხმება იაპონიის პრესის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ იაპონიის მთავრობამ უარი უნდა სთქვას ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის პოლიტიკაზე და საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა გაატაროს“.

ამ ბოლო დროს იაპონიის პრესამ კვლავ გააჩაღა კამპანია ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების გაუქმებისათვის. ამასთან წამოაყენეს მოთხოვნა, რათა იაპონიამ ანგარიში არ გაუწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს შორეულ აღმოსავლეთში.

გაზეთი „ასახი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იაპონიის საწინააღმდეგო ემბარგოს შემოღების საკითხის განხილვის გადადება ამერიკის სენატში არ ნიშნავს იაპონია-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას საერთოდ. გაზეთების სიტყვით, ემბარგოს შემოღების გადადებას და უელესის გამგზავრებას ევროპაში ერთგვარი კავშირი აქვს ერთმანეთთან. „უელესი იტალიის გემით გაემგზავრა პირდაპირ იტალიაში, რათა შეხვედროდა მუსოლინისა და ჩიანოს. მის მოგზაურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა“.

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 22 თებერვალი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, თემთა პალატის სხდომაზე ეკონომიური ომის მინისტრს კროსს მისცეს შეკითხვა, იცოდა თუ არა მან, რომ, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში იტალიის 16 გემი დატვირთეს როტერდამში გერმანიის ქვანახშირით იტალიისათვის. უპასუხა რა შეკითხვაზე, კროსმა განაცხადა, რომ ეს ფაქტი მისთვის ცნობილია. „ბუნებრივია, რომ ეს გემები უნდა გასინჯულ იქნან, რამდენადაც მათ მიაქვთ მტრის საჭონელი. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ, რადგან ნავსადგურიდან არ გასულან. მიცემულია დრო მოლაპარაკებისათვის, რაც იტალიელებს შეაძლებლობას მისცემს სხვა წყაროებიდან მიიღონ საჭირო ქვანახშირი“.

ა. წ. 25 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 128) გაიხსნება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიონის პარტორგანიზაციის XXII კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) რაიკომის ანგარიში (მომხს.—ამხ. ჩუბინიძე)
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს.—ამხ. ზუმბაძე)
3) რაიკომის, სარევიზიო კომისიისა და თბილისის საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

რაიკომის მდივანი მ. ჩუბინიძე

გაზეთი „მიაკო“ იაპონია-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 22 თებერვალი (საკდესი). გაზეთმა „მიაკომ“ გამოაქვეყნა მწვავე ანტიამერიკული ხასიათის მოწინავე სტატია. სტატიის სათაურია: „მტრული დამოკიდებულება იაპონიასა და ამერიკას შორის“. მასში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ანტაგონიზმი სჭარბობს. გაზეთის სიტყვით, ამ ანტაგონიზმს შეიძლება მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს. „მიაკო“ ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალსა სდებს იმაში, რომ „მათ გამომწვევად უჭირავთ თავი იაპონიის მიმართ და ცდილობენ შეაჩერონ მისი წინსვლა ჩინეთში“. „თუ, — სწერს გაზეთი, — ამერიკა შეეცდება ძალიან წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონიის მიზნების შესრულებას, იაპონია მზადაა მიიღოს ეს გამოწვევა“.

იაპონიის პარლამენტის სხდომაზე

ტოკიო, 22 თებერვალი (საკდესი). ყველა იაპონური საღამოს გაზეთი იუწყება, რომ 22 თებერვალს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე ერთხმად მოიწონეს 1940-41 წლის ბიუჯეტი 10.300 მილიონ იენის რაოდენობით.

იაპონიის პარლამენტის დეკუვაჟ საიჯოს განცხადება

ტოკიო, 22 თებერვალი (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 2 თებერვალს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატაში მინისტრის პარტიის წევრმა დეპუტატმა საიტო ტაკაომ მკაცრად გააკრიტიკა იაპონიის მთავრობისა და სამხედრო წრეების ხაზი ჩინეთის საკითხში. საიტოს სიტყვა ამოიღეს პარლამენტის სესიის სტენოგრამიდან.

გაზეთი „ხოცი“ აქვეყნებს ინტერვიუს საიტოსთან, რომელიც 23 თებერვალს უნდა წარსდგეს პარლამენტის დისციპლინარული კომიტეტის წინაშე. საიტომ განაცხადა: „მთელი უბედურება ის არის, რომ ყველაფერს საიდუმლოდ ინახავენ. ჩემი გული შეშფოთებულია იმის გამო, თუ რა მოელის ჩემი ქვეყნის ქეთილდღეობას. მომეცით შესაძლებლობა გამოვაქვეყნო ხალხის წინაშე ჩემი სიტყვის სრული ტექსტი. მთელმა იაპონიამ არაფერი იცის, თუ რა ხდება. პარლამენტის წევრები ცუდი ამბავნაგები არიან. ისინი პირდაპირ აჰყვნენ აგიტაციას. მთელს იაპონიაში არ არის ისეთი კაცი, რომელიც ნამდვილად სახელმწიფო მოღვაწე იყოს. სასაცილოა იმ ადამიანების დანახვა, რომელნიც ჩემს დასჯას ცდილობენ. განსაზღვრული წრეები მირჩევენ მოვიხსნა დეპუტატის რწმუნება, მაგრამ ამას არასოდეს არ ვიზამ. თუ მე ესოდენ დიდი შეცდომა ჩამიდენია, რომ დეპუტატის რწმუნება უნდა მოვიხსნა, მაშინ ხარაკირი უნდა მოვახდინო“.

ომი ზღვაზე

ბერლინი, 21 თებერვალი (საკდესი). საინფორმაციო ბიუროს ცნობით, პანამის არხში გაიარა ინგლისის სამხედრო გემმა, რომელსაც ბუქსირით მიჰყავდა გერმანიის გემი „დიუსელდორფი“ და გემბანზე ჰყავდა მისი ეკიპაჟი. გემზე ინგლისის დროშა ფრიალებდა.

ლონდონი, 21 თებერვალი (საკდესი). ნორვეგიის გემი „სტეინსტადი“ 2.476 ტონა წყალწყვისა, ტორპედირებულ იქნა ეირეს დასავლეთ სანაპიროსთან.

ბერლინი, 21 თებერვალი. ჰოლანდიის გემი „ტარა“, 4.760 ტონა წყალწყვისა, რომელსაც მარცვლეულის ტვირთი მიჰქონდა, „ყაბო დე ფინისტეროდან (ესპანეთი) 160 მილზე ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. ეკიპაჟი გადარჩენილია.

ლონდონი, 22 თებერვალი. რეიტერის საagენტო იუწყება, რომ ნორვეგიამ დღემდე დაჰკარგა 49 გემი, რომელთა წყალწყვა 168.527 ტონას ტოლი. ზღვაში წარმოებული საომარი მოქმედების შედეგად დაიღუპა 327 ნორვეგიელი მეზღვაური.

ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ტორპედირებულ საესკადრო ხაღმოსან „დეირინგზე“ დაღუპულ მატროსთა და ოფიცერთა სია. სია შეიცავს 9 ოფიცერსა და 147 მატროსს.

საზღვაო მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ „თუმცა წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მოქმედების შედეგები კვირიდან-კვირამდე იცვლება, მაინც საშუალოდ თვითეული კვირის განმავლობაში ისპობა, სულ ცოტა გერმანიის ორი ნავი“. (საკდესი).

ინგლისი მოითხოვს „აღმირალ გრაუ შპეეს“ ეკიპაჟის ინტერნირებას

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საagენტოს ცნობით ინგლისის არგენტინელი ელჩი ოვიი გუშინ ეთახბირა არგენტინის შინაგან საქმეთა მინისტრს ტაბოადას. ოვიიმ მოითხოვა გერმანიის ჩაძირული სახაზო გემის „აღმირალ გრაფ შპეეს“ ეკიპაჟის დაუყოვნებლივი ინტერნირება. როგორც იუწყებიან, ოვიი ამასთანავე ეყრდნობოდა არგენტინის პრეზიდენტის მიერ ამასწინათ გამოქვეყნებულ დეკრეტს, რომელშიც აღნიშნული იყო —გერმანიის გემის ეკიპაჟი ინტერნირებული იქნება სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებშიო.



თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალი შენობა. ზევით—გარეთა ხედი, ქვევით—შიგნითა ხედი.
ფოტო რ. აკოფოვისა

თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალი შენობა

ვინც **თბილისში** დიდიხანია არ ყოფილა, მისთვის საინტერესოა:

ყოფილი საარტილერიო გორაკი, რომელიც საბურთალოს დასაწყისს წარმოადგენდა და სადაც ყაზარმები იყო გაშენებული, შუა გაჰკვეთეს ფართო და შესანიშნავი ახალი ქუჩით, რომელიც ერთმანეთთან აერთებს საბჭოთა კავშირის გმირების მოედანს და ჩელუსკინელთა ბიდს. ჩელუსკინელთა ხიდი, ერთერთი უდიდესი ქვის ხიდთაგანი მთელს ამიერკავკასიაში, მშვენიერ და ყველანარებით შემკული ქუჩა და საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი, ერთის მხრივ ცათამწვდენი შენობებით შემოზღუდული და მეორე მხრივ ედემისებრი პარკით შემოფარგლული, შესანიშნავ მხატვრულ და სანახაობით ანსამბლსა ჰქმნიან. ამ მხატვრულ ანსამბლს ავსებს და ამშვენებს გორაკის მწვერვალზე აგებული მრგვალი ფორმის და იმავითა არქიტექტურული ოსტატობით ნაგები, ლამაზი, მონუმენტური შენობა, კოლონადითა და გუმბათისებრი სახურავით.

ეს სახელმწიფო ცირკის ახალი შენობაა.

თითქოს იგი აკლდა თვალს მხატვრული ანსამბლის სრულყოფისათვის.

წარმტაცი და მიმზიდველია ახლა ეს უბანი. რეკონსტრუირებული, გადახალისებული, გამშვენიერებული და კეთილმოწყობილი საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და დამახასიათებელია ახლა თბილისის ეს კუთხე. აქ გადვლილმა თბილისელმა არ შეიძლება არ გაიხსენოს იმისი ღვაწლი და ამაგი, ვისი ინიციატივითა და პირადი, უშუალო ხელმძღვანელობითაც შესრულდა და ახლაც სწარმოებს თბილისის რეკონსტრუქცია, არ შეიძლება არ გაიხსენოს იმისი ღვაწლი და ამაგი, ვინც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოლშევიკებს. თბილისის ისტორიაში წარუშლელი იქნება ჩვენი დედაქალაქის აღორძინებისა და განახლების ინიციატორის, დიდი **სტალინის** უერთგულესი მოწაფის და ქართველი ხალხის საამაყო შვილის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** სახელი.

სხვა მრავალ დიდსა და შესანიშნავ საქმეთა შორის, ამხანაგ **ბერიას** ინიციატივითა და მითითებით იყო, რომ თბილისში 1937 წელს დაიწყეს სახელმწიფო ცირკის ახალი დიდი შენობის აგება. ახლა ეს შენობა უკვე მზადაა და ამაყად გადასცქერის ქალაქს მშვენიერ **გორაკის** სიმაღლიდან.

საცირკო ხელოვნების ძველი ოსტატები, რომელთაც მოუვლიათ არა მარტო საბჭოთა კავშირის ქალაქები, **ყოფილან** უცხოეთის ცირკებშიაც ამობნენ, რომ თბილისის ახალი ცირკის შენობისთანა საცირკო ნაგებობა მათ არსად **უნახავთ**. ეს შენობა შესანიშნავია არა მარტო თავის არქიტექტურული გარეგნობით, არამედ შიგნითა მოწყობილობითაც. როგორც მაყურებლებისათვის, ისე მსახიობებისათვის შექმნილია მაქსიმალური მოხერხებულობა. ყველაფერია იმისათვის, რომ მსახიობებს ექნეთ მეტი ხალისი და მეტი სტამული სრულყოფილად **უჩვენონ** მაყურებელს თავიანთი ოსტატობა.

ეს შენობა აგებულია ჩვენი არქიტექტორების — ს. სატუნცის, ნ. ნებრინცევისა და გ. ურუმაძის პროექტით.

თბილისის ახალი ცირკის მაყურებელთა დარბაზში 2.000 ადგილია. ყველა ადგილიდან ერთნაირად სჩანს მანეჟი — საცირკო სანახაობათა ასპარეზი. მაყურებელთა დარბაზის თაღი გაფორმებულია ორიგინალურად, ახლებურად. შენებლებს საუცხოო ოსტატობა გამოუმეღავნებიათ, განსაკუთრებით თაღის გაფორმებისას. სვეტები და ბოძები, რომლებზედაც უნდა ეყრდნობოდეს თაღი, აქ არ არის და მათ მაგიერ გამოყენებულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც ერთის მხრივ მეტ სიმკვიდრესა და სიმტკიცეს აძლევენ შენობას, ხელს უწყობენ მის სეისმგამძლეობას და მეორე მხრივ ჰქმნიან მაყურებელთა დარბაზის კარგ ფორმას. ძვირფასად მორთული და გაფორმებულია ფოიეები, შესასვლელები, მაყურებელთა სასმისბარო ადგილები (საგარდერობო, ბუფეტები, თამბაქოს მოსაწევი დარბაზები და სხვ.). გონებამახვილურად მოწყობილია დარბაზის გათბობა და განათება. ზამთრობით მაყურებელთა დარბაზის გათბობა ხდება ცხელი ჰაერის გაშვებით. სამისოდ მოწყობილია სპეციალური აპარატურა, რომელიც ისრუტავს ცივ ჰაერს და უშვებს ცხელს. ზაფხულობით, პირიქით, იმავე აპარატურის საშუალებით დარბაზში გაუშვებენ ცივ ჰაერს. ცირკის თაღის ირგვლივ სპეციალურად მოწყობილ „გამაშუქებელ ხიდზე“ დადგმულია ე. წ. სინათლის ეფექტების აპარატურა. სინათლის „წყარო“ მოთავსებულია შენობის თაღის შუაბანდში, ისე რომ სინათლემ თვალი არ შეაწუხოს.

განსაკუთრებით შესანიშნავია შენობის ის კორპუსი, სადაც მოთავსებულია მსახიობთა საპირფარეშოები, სარეკვიზიტო, საგრიმიორო და გაწრთვნილ ცხოველთა ბინები.

შენობის ამ კორპუსის ერთი კუთხე გამოყოფილია გაწრთვნილი ცხოველებისათვის. სინათლიანი, სუფთა და შესანიშნავი ბინები მოუწყვიათ მათთვის. საგულდაგულოდ მოწყობილია „სპილოების დარბაზი“, მტაცებელ მხეცთა ბინები, წვრილფეხა ცხოველთა ბინები, თაგვა და სხვ.

ცირკთან მისასვლელი ასფალტირებული გზა, რომელიც ჩელუსკინელთა ხიდს ყურესთან აწყება, სპირალურად უხვევს გორაკზე. გზის ორივე მხარეზე გაშენებულია ხეივანი და აღმართულია ლამპიონები. ცირკის ეზოც გამწვანებული და ასფალტირებულია. აქედან სჩანს თითქმის მთელი თბილისი ავპალიდან დაწყებული ავლაბრამდე და ფუნიკულორიდან მახათას მთამდე. ღამით ქალაქში ციმციმებენ უთვალავი ელექტრონათები და ცირკის შენობის გუმბათიდან ამოდის ხელოვნური მზის შუქის მსვლელი სინათლე. ზოგადი ადგილია, შესანიშნავი, წარმტაცი.

ეს შესანიშნავი ნაგებობა ააშენა თბილმშენმა (თბილმშენის უფროსი — ამხ. ჯ. მორტი). მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილმშენის მეორე სამშენებლო კანტორა (კანტორის უფროსი— ინე. მ. ბაღდასაროვი), ხოლო სამუშაოთა მწარმოებელი იყო ახალგაზრდა ინჟინერი ამხ. ა. პოპოვი.

თბილისის ცირკის ახალი შენობა ძვირფასი საჩუქარია ჩვენი დედაქალაქის მშრომელთათვის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავის აღსანიშნავად.

დ. ლომთაძე

პირველი წარმოდგენა ცირკის ახალ შენობაში

24 თებერვალს საღამოს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავის აღსანიშნავად, შესდგება თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალი შენობის საზეიმო გახსნა.

საღამოს 8 საათზე აანთებენ ელექტროჭაღებს და პროექტორებს, რომლებიც სინათლის შუქში გახვევენ მთელ იმ ბორცვს, სადაც აგებულია ცირკის შენობა.

ცირკის ეზოში გამოვლენ ორკესტრანტები საყვირებით და აუწყებენ ქალაქს, რომ ახალ შენობაში იწყება პირველი საცირკო წარმოდგენა. უნიფორმისტები (მაყურებელთა და მსახიობთა მომსახურე პერსონალი) დაიკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს და დაიწყება პროლოგი, რომელშიაც მონაწილეობას შიიღებს რამდენიმე ასეული კაცი და ქალი. პროლოგის მონაწილეებად იქნებიან — ცირკის მსახიობები, ფიზკულტურელები და ბალეტის აქტიორები. პროლოგის თემატიკა დამუშავებულია ისე, რომ გამოსახულ იქნეს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოცდაორი წლისთავის მნიშვნელობა, ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ზრდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელობა და ამავე დროს საბჭოთა საცირკო ხელოვნების ზრდა-განვითარება.

ამის შემდეგ დაიწყება საცირკო წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საცირკო ხელოვნების ყველა უბნის ოსტატები. მწვრთნელი ბ. ედერი თავის ლომებით, ცხენების მწვრთნელი ი. მონკევიჩი, ჟონგლიორი ნიკოლსკი, გიმნასტთა ჯგუფი, აკრობატები, ექსცენტრიკოსები, ეკვილიბრისტები და სხვ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ქართული ესტრადის მსახიობები —საღარაძე და ჯაფარიძე. ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ვ. გოძიაშვილი და სხვ.

პროგრამის მხატვრული ხელმძღვანელია ბ. შახეტი.

საქ. ხალხური შემოქმედების მუშაკთა ბრიგადის დაბრუნება

თბილისში დაბრუნდა საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის ბრიგადა, რომელიც კიევსა და ხარკოვში ამოწმებდა უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლების სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებას. კიევში ბრიგადა გაეცნო უკრაინის ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის მუშაობას, შეამოწმა სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლები და დაათვალიერა რამდენიმე თვითმოქმედი კოლექტივი.

ხარკოვის ხალხური შემოქმედების სახლი ერთი საუკეთესოთაგანია უკრაინაში. საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად მარტის ბოლო რიცხვებში თბილისში ჩამოვლენ უკრაინის ხალხური შემოქმედების მუშაკები და მოსკოვის ხალხური შემოქმედების სკაკუშირო სახლის ბრიგადები, რომელნიც, გაეცნობიან რა საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის მუშაობას, საბოლოოდ შეაჯამებენ ჩატარებულ მუშაობას და გამოაცხადებენ სოცშეჯიბრების შედეგს.

25 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კაცხოველის სახელობის სახლში პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ლიუდვიგოვის ლექცია რუსულ ენაზე: ლექციის თემა—„ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმზე და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ“.

ღამეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ბაღჩისარაის შადრევანი“ (ტალ. № 124), **რუსთაველის** სახელობის — „თოფიანი კაცი“ (ტალ. № 123), **მარჯანიშვილის** სახელობის — „მზის დაბნელება საქართველოში“, **მუსკომედია**—„ურინ-მაჩინი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „მთავარსარდლის წევრი“, **ოქტომბერი** — „მამაცობა“, **დომკვრელი** — „მეოთხე პერისკოპი“ **კომკავშირელი** — „პირადი საქმე“, **სპარტაკი** — „საზღვარზე“, **ლუჭსემბურგის** სახ. — „პატრიოტი“, **კომინტერნი** — „ამანგელდი“, 26 კომ. სახ.— „მეოთხე პერისკოპი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24 თებერვალს	25 თებერვალს	26 თებერვალს
მუდმ. ადგ. ტალ. № 124	მუდმ. ადგ. ტალ. № 125	დახურული წარმოდგენა
ბაღჩისარაის შადრევანი	**აბესალომ და ეთერი**	**წითელი არმიისათვის რიგოლეტო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

24 თებერვალს	25 თებერვალს	27 თებერვალს
მუდმ. ადგ. ტალ. № 123	მუდმ. ადგ. ტალ. № 124	მუდმ. ადგ. ტალონი № 125
თოფიანი კაცი	**ნაპერწკლიღან**	**გუშინდელნი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი პლეხანოვის, 182 (ყოფ. მუშტაიდი)

24 თებერვალს	25 თებერვალს	27 თებერვალს
უჩინ-მაჩინი	**ნაპერწკლიღან**	**თიეა და ავი ძაღლი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

ახალი სახელმწიფო ცირკი ტელ. 3-11-44

24 და 25 თებერვალს

ახალი ცირკის გახსნა

24 თებერვლისათვის ბილეთები არ არის.

დაწყებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა 25, 27, 28 და 29 თებერვლისათვის.
სალარო ღიაა დღის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
26 თებერვალს საბცირკის გამოსასვლელი დღეა.

საქ. სსრ სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატი

ღებულობს ინვალიდებს მოწყაფეებად ტრიკოტაჟის, ტექსტილის და ფეხსაცმლის წარმოებებში.

მოწყაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.
პირობების გაგება სასწავლო-საწარმოო კომბინატში, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფ. 3-43-00.
63

დირექცია.

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის 1939 წ. კურსდამთავრებული პროვიზორები:

1. კერვალიშვილი გენადი ბიქტორის-ძე, 2. კევლიშვილი ხინო ალექსანდრეს-ასული, 3. ავალიშვილი მარიამ დავითის-ასული, 4. მაჩაბელაშვილი ნინო გიორგის-ასული, 5. ნაცვლიშვილი ეთერ იოსების-ასული, 6. ჯორბენაძე დავით ბათლომეს-ძე, 7. ფიჩხაძე დავით გიორგის-ძე და 8. სიხარულიძე თინათინ მირიანის-ასული უნდა გაძოცხადდნენ სამი დღის ვადაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (პეროვსკაიას ქ. № 22) საგზურების მისაღებად განაწილების მიხედვით დანიშნულ ადგილზე გასამგზავრებლად. დანიშნულ ვადაში გამოუცხადებლობა გამოიწვევს საქმის სათანადო ორგანოებისათვის გადაცემას.

ინსტიტუტის დირექტორი ბიოლოგ. მეცნ.
64
დოქტორი პროფ ძუთაშელაძე

თბილისის მედიცინის დების მე-3 სკოლის პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის პედაგოგს ექიმ დ. კიკნაძეს მისი დედის
მარიამ ქიკნაძის
გარდაცვალების გამო.

შვილები გიორგი, ქეთო, მარო, რძალი თამარ შვილებით, სიძე კ. კალანდარიშვილი იუწყებიან ძვირფას
არჩილ ალფეზის-ძე გაჩეჩილაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/II 7 ს. საბჭოს, 65. გამოსვენება 25/II 4½ ს. ვაკის სასაფლაოზე. 5345

დისშულები, ძმისშულები ღამბაშიძეები, აბესაძეები, ჭყონიები და გაჩეჩილაძეები იუწყებიან ძვირფასი ბიძის
არჩილ ალფეზის-ძე გაჩეჩილაძის
გარდაცვალებას. 5345

დედა მარგარიტა, და ნიმფა, ძმა შალვა, რძალი ელენე ქუთათელაძე შვილებით იუწყებიან, რომ 24/II ქ. წულუკიძეში დანიშნულია
არეთა ქუთათელაძე-მაჭარაძის
სამოქ. პანაშვიდი. 5343

ვასო, ნინო, შატულია, გრიშა და ფუთური ქადეიშვილები იუწყებიან ექიმ
გრიშა პავლეს-ძე მეუნარგიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/II ქ. ფოთში. 5342

ა/ქ. ლ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ 24/II 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
სამსონ ჭაიხოსროს-ძე ტომარაძის
სამოქ. პანაშვიდი. 5335

მშობლები ბეგლარ, მარიამ, მეუღლე ცუცა, შვილები ნოდარ, თინა, ნათელა, ანიკო იოსავები იუწყებიან
**ნიკოლოზ (კოლ